შინაგან საქმეთა სამინისტრო

2015 წლის საქმიანობის ანგარიში

სამინისტროს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა

- 2015 წელს განხორციელებული შსს რეფორმის შედეგად მოხდა პოლიციისა და უშიშროების ორგანოების უფლებამოსილებათა ინსტიტუციური და ორგანიზაციული გამიჯვნა; ქვეყანაში შეიქმნა შს სამინისტროსგან დამოუკიდებელი, დეპოლიტიზებული, პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მქონე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;
- საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შს სამინისტროში მოქმედი ყველა მთავარი სამმართველო გახდა დეპარტამენტი;
- შს ადმინისტრაციას გამოეყო იურიდიული სამმართველო და ჩამოყალიბდა ცალკე დეპარტამენტად;
- საფინანსო–სამეურნეო დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნა ორი დამოუკიდებელი დეპარტამენტი – ეკონომიკური დეპარტამენტი და ლოჯისტიკის დეპარტამენტი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობისა და მისი სტრუქტურების გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, 2015 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, გასაჯაროვდა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, გენერალური ინსპექციის და ანტიკორუფციული სააგენტოს დებულებები;
- საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი სტანდარტების შემუშავების, ერთიანი პრაქტიკის დანერგვის და აღნიშნულ საკითხებზე სამინისტროს დანაყოფებისათვის საერთო კოორდინაციის გაწევის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ჯგუფის მიერ შემუშავდა და 2015 წლის 23 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №53 ბრძანება ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სამინისტროს სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების შენახვის, განადგურებისა და დაარქივების

კონკრეტულ ვადებს, ასევე აღნიშნული ფაილური სისტემების დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ჯგუფის მიერ შემუშავდა და 2015 წლის 23 იანვარს ძალაში შევიდა "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური საინფორმაციო ბანკის მონაცემთა ინფორმაციულ რესურსებთან დაშვების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 7 ნოემბრის №860 ბრძანებაში ცვლილებების პროექტი (შს მინისტრის ბრძანება №52). აღნიშნული ცვლილების შედეგად, სამინისტროს სისტემაში გამკაცრდა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის მონაცემებთან დაშვების რეგულაციები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ჯგუფის მონაწილეობით, შსს ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველოს მიერ, მომზადდა და ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის №49 დადგენილება ,,სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბერის №386 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის მიხედვითაც სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე მგზავრებისთვის ფოტოგადაღება ხორციელდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. აღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით ძალაში შევიდა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №985-№1187 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 17 მარტის №194-№79 ერთობლივი ბრძანება. აღნიშნული ბრძანების 31-ე მუხლის მიხედვით, ფიზიკური პირის მიერ საზღვრის გადაკვეთისას საპასპორტო კონტროლის განხორციელებისათვის უფლებამოსილი საბაჟო გამშვები პუნქტის ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომლების მიერ საპასპორტო კონტროლთან ერთად შეიძლება განხორციელდეს პირის ფოტოგადაღება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რომლებიც განსაზღვრულია ამავე მუხლით;
- აღნიშნული აქტივობების შედეგად, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მეორე ფაზის შეფასების ფარგლებში ჩამოსული ექსპერტის Graham Sutton 2015 წლის 13 მარტის ანგარიშში, საჯარო სექტორის შეფასების ნაწილში, პერსონალური

მონაცემების დამუშავებისა და დაცვის კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და აღინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიღწევები, რომლებიც უმოკლეს დროში (2014-2015) განხორციელდა;

- სზაკ–ის მოთხოვნათა გათვალისწინებით შემუშავდა საჯარო ინფორმაციის რეესტრის განახლებული ფორმა, რაც მიზნად ისახავს სზაკ–ის 49–ე მუხლით გათვალისწინებულ, 10 დეკემბრის ანგარიშებთან დაკავშირებით არსებული ხარვეზების გამოსწორებას და ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული რეალური ვითარების ასახვას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმების დახვეწა

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა. აღნიშნული მოიცავს სამინისტროს საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოების ჩართულობასა და სამინისტროს მიმართ ნდობის გაღრმავებას. ამ მიზნით, 2015 წელს შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა განახორციელა და დაგეგმა სხვადასხვა ღონისძიება:

- 2015 წლის 1 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“, რომელშიც ჩართულია შს სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფი. საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის მიზანი იყო არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, მოსწავლეები, ასევე გაეცნენ სამართალდამცავი უწყების მუშაობის სპეციფიკას;
- 2015 წლის 3 და 4 ივნისს თბილისში, საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯია“-ში გაიმართა ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership) რეგიონული კონფერენცია, რომლის მიზანი იყო მთავრობათა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ წევრ ქვეყნებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარება. აღნიშნულ ღონისძიებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით, შს სამინისტრო ოთხი განხორციელებული და ერთი დაგეგმილი პროექტით იყო წარმოდგენილი. კონფერენციაში OGP-ის 30-ზე მეტი წევრი ქვეყნის, სამუშაო ჯგუფებისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა;

- შს სამინისტროს საქმიანობის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მომზადდა უწყების საქმიანობის ამსახველი საიმიჯო ვიდეორგოლი, სადაც ნაჩვენები იყო შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ფუნქცია და მუშაობის სპეციფიკა, სამართალდამცველთა ბრძოლა დანაშაულთან და მათი რეაგირება საგანგებო სიტუაციებში. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ვიდეორგოლის პრეზენტაცია გაიმართა 2015 წლის 9 ივნისს. „ისინი აშენებენ უსაფრთხო ქვეყანას“ - ეს იყო ის ძირითადი მესიჯი, რომელიც ვიდეორგოლის საშუალებით შსს-მ მოქალაქეებს გაუგზავნა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია მედიასთან ურთიერთობა და თანამშრომლობა, ჟურნალისტისთვის პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევაში მათი უსაფრთხოების დაცვა. სწორედ ამიტომ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 2 მაისის N329 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მედიასთან ურთიერთობის შესახებ ინსტრუქცია;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლები, დედაქალაქსა და რეგიონებში, 24 საათიან რეჟიმში ახორციელებენ სხვადასხვა გახსნილი დანაშაულის ამსახველი ვიდეომასალის გადაღებას, კომენტარის ჩაწერას, დამონტაჟებას და ტექსტურ მასალასთან ერთად შსს–ს ვებ–გვერდზე www. police.ge და სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ სამინისტროს გვერდზე განთავსებას;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონალურ მედიასთან. სხვადასხვა რეგიონის მედიის წარმომადგენლებს უშუალო კავშირი აქვთ შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის იმ თანამშრომელთან, რომელიც იმ კონკრეტულ რეგიონს უწევს კოორდინირებას.
- შს სამინისტრომ 2015 წლის დეკემბრის თვიდან „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის“ ფარგლებში ფართომასშტაბიანი სოციალური კკამპანია დაიწყო, სლოგანით „შენი გულისთვის-შენი უსაფრთხოებისთვის“. კამპანიის მიზანია ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ინფორმირება და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი სოციალური კამპანიების დაგეგმვისას მჭიდროდ თანამშრომლობს კონკრეტულ თემაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ჩატარდა ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორთან, კერძოდ, საავტომობილო ფედერაციასთან და ორგანიზაციასთან „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“;

- განხორციელდა კამპანიის ბრენდინგი - შეიქმნა კამპანიის სლოგანი „შენი გულისთვის - შენი უსაფრთხოებისთვის!“ და კამპანიის ლოგო, რომელიც არის საგზაო ნიშნებით დაფარული გული - სიცოცხლე, რომელსაც იცავს საგზაო ნიშნები და წესები;
- აღნიშნულ თემაზე მომზადდა სოციალური პასუხისმგებლობის ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდა საქართველოს წამყვან ტელეარხებზე - „რუსთავი2“, „იმედი“, „მაესტრო“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, „GDS“, „ქართული არხი“ და ა.შ.
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს მართავენ. პატრულ-ინსპექტორებს ჩაუტარდათ ტრენინგი მოზარდებთან საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ ჩასატარებელი გაკვეთილების ფორმისა და შინაარსის შესახებ;
- ტელე „იმედის“ დილის ეთერში, კვირაში ერთხელ, საგზაო მოძრაობის საკითხებზე კეთდება 3 წუთიანი ჩართვები. ასევე საზოგადოების ჩართულობის მიზნით ცხადდება ე.წ. გამოწვევები, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები (მსახიობები, ექიმები, მუსიკოსები და ა.შ.) კამპანიაში მონაწილეობისთვის ერთმანეთს იწვევენ;
- საგზა მოძრაობის უსაფრთხოების თემას შს სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით მიეძღვნა ცნობილი ტელე-რადიო გადაცემები, მომზადდა სტატიები;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე შეიქმნა სტიკერები რესტორნებისთვის, წარწერით „ნუ დაჯდები საჭესთან ნასვამი, შენი გულისთვის - შენი უსაფრთხოებისთვის!“ და სკოლებისთვის „ისწავლე და დაიცავი საგზაო მოძრაობის წესები, შენი გულისთვის-შენი უსაფრთხოებისთვის!“, აღნიშნული სტიკერები განთავსდა კამპანიაში ჩართულ რესტორნებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით კერძო და საჯარო სოლებში. იმისათვის, რომ კამპანია იყოს მასშტაბური, დაგეგმილია ინტეგრირებული (IMC) კომუნიკაცია;

ადამიანის უფლებების დაცვა

- ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების შესაბამისად, დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წლის იანვარში დასრულდა სარემონტო სამუშაოები შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ (სამსახური) (ქ.გორი), მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ (განყოფილება) (ქ.მცხეთა) და თეთრიწყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში. სამივე იზოლატორი აღიჭურვა ახალი ინვენტარით და დაკავებულთათვის ადგილზე შეიქმნა გაუმჯობესებული ყოფითი პირობები;

- 2015 წლის ზაფხულში სარემონტო სამუშაოები შესრულდა საგარეჯოსა და ამბროლაურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ჩატარდა აღნიშნული ორი იზოლატორის სრული რეაბილიტაცია;
- 2015 წლის სექტემბერში სარემონტო სამუშაოები დასრულდა ქ.თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორში (სამმართველო). იზოლატორში ჩატარდა ფუნდამენტური სამუშაოები, რომლის დროსაც ევროკავშირის გრანტის ფარგლებში საკნებში განხორციელდა არსებული საწოლების გადაკეთება, ახალი მაგიდა-სკამების მონტაჟი და საკნები აღიჭურვა სპეციალური სანათებით. ევროკავშირის გრანტის ფარგლებში, ასევე მოხდა ქ.თბილისის N1 (სამმართველო) დროებითი მოთავსების იზოლატორის სველი წერტილის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირება;
- 2015 წლის სექტემბერში ევროკავშირის გრანტის ფარგლებში, დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო პერსონალისათვის შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა;
- 2015 წლის 21 თებერვლიდან 5 აპრილამდე ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფარგლებში გაიმართა ტრენინგები დროებითი მოთავსების იზოლატორის ყველა თანამშრომლისთვის (სულ 230 თანამშრომელი). ორდღიანი ტრენინგის ფარგლებში თანამშრომლები გაეცნენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებას, ევროპის წამების პრევენციის კომიტეტის მანდატს, სტანდარტებს და კომიტეტის მიერ საქართველოში ვიზიტების შესახებ შედგენილ ანგარიშებს;
- 2015 წელს მაისი-ოქტომბრის პერიოდში, ევროკავშირის დახმარებით, ჩატარდა ტრენინგების ციკლი, დისკრიმინაციის დაუშვებლობის თემაზე, აღნიშნულ ტრენინგებში საქართველოს პროკურატურის და პოლიციის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობას ასევე იღებდნენ შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები;
- 2015 წლის აგვისტოში, ს.ს.ი.პ შსს აკადემიაში დაიწყო მოკლევადიანი სასწავლო კურსები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით. კურსები ეტაპობრივად ტარდება და მათში მონაწილეობას სხვა დანაყოფებთან ერთად შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებიც იღებენ;
- 2015 წლის 1 ოქტომბრიდან შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტში შეიქმნა სამედიცინო მომსახურების სამსახური, სადაც მოხდება მედიცინის 27 მუშაკის ხელშეკრულებით დასაქმება. აღნიშნული

სამედიცინო პერსონალი მოვალეობებს დეპარტამენტის 8 (6 რეგიონალური და 2 ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორი) იზოლატორში შეასრულებს;

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლების მომზადება/გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით. სასწავლო პროგრამა 2015 წლის ნოემბერში დაინერგა შსს აკადემიაში;
- 2015 წლის თებერვალში, დასრულდა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლებისთვის ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარებული ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც მოხდა სრული შემადგენლობის გადამზადება(სულ 230 თანამშრომელი). ტრენინგის მიმდინარეობისას დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლებმა მიიღეს ინფორმაცია პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების ამოცნობისა და მათთან მოპყრობის, ასევე სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის დახმარების გაწევის შესახებ.

მომზადებული კანონპროექტები:

- „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2015 წლის 18 თებერვლის N3052-IIს კანონი, რომლის თანახმად გაიზარდა ისეთი დანაშაულის, როგორიცაა ოჯახში ძალადობა ჩადენისათვის დაწესებული სანქცია;
- „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2014 წლის 2 მაისის N2378-IIს კანონი, რომლის შესაბამისად დამძიმდა პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფისათვის, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევისათვის და პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევისათვის დაწესებული სანქციები;
- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 19 თებერვლის N3099-IIს კანონი, რომელმაც ახლებურად დაარეგულირა ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან, დასაიდუმლოებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივი ურთიერთობები ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში სახელმწიფოს სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად (მომზადდა პარლამენტის თავდაცვის კომიტეტთან ერთად);

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი პროექტი, რომლის შესაბამისად განხორციელდა ზოგადი და კერძო ნაწილების დამუშავება, განახლება და ახალ რეალობაზე მორგება საერთაშორისო გამოცდილებისა და დანაყოფების ინტერესების გათვალისწინებით;
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის შესაბამისად დარეგულირდა ქვეითებისა და მძღოლების პასუხისმგებლობის საკითხები;
- მანქანების ევაკუატორებით გადაყვანასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილების პროექტი, რომლის შესაბამისად სპეციალურ სადგომზე გადაყვანას დაექვემდებარება მხოლოდ ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც დგას ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოქმედების ზონაში, ასევე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მოთხოვნათა დაუცველობისას, თუ სამართალდამრღვევი არ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებასთან, ან/და უარს აცხადებს სატრანსპორტო საშუალების აკრძალული ადგილიდან გაყვანაზე და სატრანსპორტო საშუალება აფერხებს მოძრაობას, ქმნის საავარიო ვითარებას ან საცობს;
- „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონის პროექტები, რომლის შესაბამისად წესდება სხვადასხვა შეზღუდვები ცეცხლსასროლი იარაღების რეგისტრაციისას/ნებართვის გაცემისას. მაგ., ასაკობრივი შეზღუდვა, იარაღთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების ცოდნაში გამოცდის ჩაბარება და სხვ.;
- „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი, რომლის შესაბამისად დარეგულირდება საელჩოების უსაფრთხოების სამსახურების მიერ იარაღის ტარების უფლების საკითხი;
- „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის შესაბამისად განისაზღვრა პასუხისმგებლობის საკითხიში და სამსახურებრივი ინფორმაციის გამჟღავნებისათვის;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის შესაბამისად დარეგულირდება კომპიუტერული მონაცემის, როგორც მტკიცებულების ამოღების საკითხები;
- „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის

შესაბამისად ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ჩამონათვალს ემატება რამდენიმე ნივთიერება - ნაერთი, რომელიც დაკავშირებული იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომასთან;

- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე პროექტები, რომლის შესაბამისად შს სამინისტროს მოსამსახურეებს პროექტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარდაცვალებისას მიეცემათ დახმარება 100 000 ლარისო დენობით. პროექტით გათვალისწინებულია სხვა შეღავათებიც;
- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის შესაბამისად მოწმეთა დაკითხვის წესებთან დაკავშირებით იგეგმება ახალი, უკეთესი რეგულაციების შემოტანა და შესაბამისი ცვლილებების მომზადება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

2015 წელს იურიდიული დეპარტამენტის მიერ მიერ შემუშავდა 225 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქონების გადაცემის, დოკუმენტის განსაიდუმლოების, ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სხვა საკითხების შესახებ. მათ შორის გამოსარჩევია განსაკუთრებული მნიშვნელობის შემდეგი შიდა რეგულაციური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 25 დეკემბრის №991 ბრძანება „2015-2016 წლების სამთო-სათხილამურო სეზონთან დაკავშირებით ბაკურიანის საკურორტო ზონაში სათხილამურო ტრასებზე, ობიექტებსა და დასასვენებელ ადგილებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 3 დეკემბრის №933 ბრძანება „საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის გამოვლენისა და შემდგომი რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 24 ნოემბრის №903 ბრძანება „2015 წლის 25-27 ნოემბერს სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიების განხორციელების შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 10 ნოემბრის №879 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უკანონო

ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგების, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოტროპული და ფსიქოტროპული ნივთიერებების გასანადგურებლად მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის თაობაზე";

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №757 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პირის პოლიციელად მისაღები სპეციალური საკონკურსო კომისიების დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 10 ნოემბრის №875 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 ოქტომბრის №839 ბრძანება „ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ინფორმირებულობისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებულ კამპანიასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №756 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო შესყიდვის რაციონალური განხორციელებისათვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 4 ნოემბრის №850 ბრძანება „საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან, დიპლომატიურ მისიებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სფეროში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების კოორდინაციის შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №754 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოს ბეჭდების და შტამპების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 27 ოქტომბრის №810 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საკურატორო სფეროების განსაზღვრისა და მინისტრის მოადგილეებისათვის დამატებით უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ";

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 22 ოქტომბრის №806 ბრძანება „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფციის დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 15 ოქტომბრის №789 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე რისკებისა და საფრთხეების ანალიზის ერთიანი სისტემის კონცეფციის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 12 ოქტომბრის №786 ბრძანება „2015 წლის 12-14 ოქტომბერს ქ. თბილისში სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიების განხორციელების შესახებ".

შიდა აუდიტის სამსახურის განვითარება

- არსებული აუდიტის გარემოს, რისკების შეფასების შედეგებისა და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის შესაბამისად მომზადდა შიდა აუდიტის მთავარი სამმართველოს მიერ 2015-2017 წლებში განსახორციელებელი ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის სტრატეგიული გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა შს მინისტრს;
- შს სამინისტროს იმ დანაყოფებმა, სადაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 24 ივლისის N558 ბრძანებით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად ჩატარდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტები, დაასრულეს აუდიტორული ანგარიშის პროექტების შესწავლა და მათში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით წარადგინეს საკუთარი მოსაზრებები. აუდირებული დანაყოფების მონაწილეობით განხილული იქნა მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, მოხდა პოზიციების შეჯერება და ერთობლივად მომზადდა რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმები, რის შემდეგაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა შიდა აუდიტორული ანგარიშები და შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმასთან ერთად წარედგინა შს მინისტრს;
- მარეგულირებელი აქტების, შიდა აუდიტის სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შემუშავდა შესყიდვების პროცესის აუდიტის მეთოდოლოგია, რომლის დანერგვაც ხელს შეუწყობს სამინისტროს სისტემაში აუდიტის პროცესის ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და სტანდარტიზაციას.
- 2015 წელს პრიორიტეტი მიენიჭა „სისტემური აუდიტის" პრაქტიკაში დანერგვას, მისი მეთოდიკის შესწავლას, სამინისტროს საქმიანობის იმ სფეროების გამოვლენას, სადაც კონტროლის მექანიზმების დახვეწა განსაკუთრებით

აქტუალურია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა-გამოყენებაც. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა და ჰარმონიზაციის ცენტრს ეთხოვა ხელი შეეწყოთ შესაბამისი პარტნიორების მოძიებაში, რათა მათთან ერთად დაიგეგმოს და განხორციელდეს პილოტური სისტემური აუდიტი. აღნიშნული ორგანიზაციების ხელშეწყობით გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს მონაწილეობა მიეღოთ ერთობლივ პილოტურ აუდიტში და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ ორგანიზებული იქნა შესაბამისი პროექტი, რომლის ფარგლებშიც გერმანელ პარტნიორებთან ერთად შეირჩა შს სამინისტროს ის დანაყოფები, რომლებშიც ხორციელდება პილოტური „სისტემური აუდიტი“. შს მინისტრის 2015 წლის 18 ივლისის N520 ბრძანების საფუძველზე შიდა აუდიტის მთავარ სამმართველოს დაევალა პილოტური შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელება სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში;

- სისტემური აუდიტის პროცესში მიღებული გამოცდილების საფუძველზე შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება კონკრეტული შესყიდვის დაგეგმვის, შესყიდვის პროცედურის წარმართვის, ხელშეკრულების გაფორმების, შესრულების კონტროლის, მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების საკითხების შესწავლა.

საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე სავიზო და საპასპორტო სფეროში საქმიანობის გაუმჯობესება

საპატრულო პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესება

- შინაგან საქმეთა მინისტრმა 2015 წლის მაისში საგურამოში პოლიციის ახალი შენობა გახსნა. ორსართულიანი, თანამედროვე სტანდარტების შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით არის აღჭურვილი. ახალ შენობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამსახური განთავსდა: შსს-ს მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს მცხეთის რაიონული სამმართველოს საგურამოს პოლიციის განყოფილება და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველოს ოპერატიული რეაგირების ჯგუფი;
- შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე სავიზო და საპასპორტო სფეროში საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, ამერიკული სტანდარტის შესაბამისად შსს საპატრულო პოლიციის

დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველო სასაზღვრო–სამიგრაციო კონტროლის სამმართველოში (თბილისის აეროპორტი) შეიქმნა ახალი განყოფილება K–9, რომელიც დაკომპლექტდა სპეციალურად მომზადებული კინოლოგებითა და მათი სამსახურებრივი ძაღლებით. აღნიშნულმა თანამშრომლებმა გადამზადება გაიარეს აშშ–ში სპეციალურად კინოლოგებისათვის შედგენილი პროგრამით;

- საქართველოს მთავრობის დადგენილებაში – "სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ", შს სამინისტროს ინიციატივით, 2015 წლის 11 თებერვალს ძალაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ინტერპოლის მიერ FIND პროექტის ფარგლებში მოხდა ინტერპოლის გენერალური სამდივნოს, მოპარულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მონაცემთა ბაზის (SMV) ინტეგრაცია საქართველოს ყველა სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, რითაც საშუალება მიეცათ როგორც სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, ასევე, შსს საპატრულო პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომლებს, საზღვრის კვეთისას ავტომატურ რეჟიმში მოახდინონ, მსუბუქი და სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშაულებების მონაცების გადამოწმება ინტერპოლის მოპარულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მონაცემთა ბაზაში;
- 2015 წლის 6 აპრილიდან სატრანზიტო გადაზიდვების კონტროლის მიზნით შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი 2"-ს ბაზაზე ფუნქციონირება დაიწყო ახალმა დანაყოფმა, რომელშიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2 თანამშრომელი;
- წარმატებით დასრულდა შსს ოპერატიულ ტექნიკური დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ტრენინგი რადიაციული უსაფრთხოების თემაზე, რომელსაც მასშტაბური სახე ჰქონდა და ტრენინგის დასრულების შემდეგ სასაზღვრო–სამიგრაციო კონტროლის განყოფილებების თანამშრომელთაგან 10 საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მესაზღვრე–კონტროლიორს გადაეცა სერტიფიკატი;
- უზრუნველყოფილია რეგულარული საინფორმაციო კამპანიის წარმოება. სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ხორციელდება საინფორმაციო ბროშურების გავრცელება;
- შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შემუშავდა საზღვარზე არსებული რისკების ანალიზის სისტემა;
- საზღვრის მართვის პროცესის რეგულირების თემებზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარების მიზნით, დეპარტამენტი ჩართულია გაეროს და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრებზე

თანამშრომლობის მართვის ევროპული სააგენტოს (FRONTEX) ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო პროგრამებში. ზემოაღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის სწავლება და გამოცდილების გაზიარება;

- საქართველოს შსს-სა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფები და წინა წლის მსგავსად გრძელდება რეგულარული შეხვედრების ორგანიზება.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის შესაძლებლობების გაუმჯობესება

- 2015 წლის იანვარის თვეში შეძენილ იქნა სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერების ადამიანის ორგანიზმში გარდაქმნის შედეგად წარმოქმნილი მეტაბოლიტების ახალი სტანდარტული ნიმუშები. აღნიშნული ნიმუშები გამოიყენება ბიოლოგიურ მასალაში ნარკოტიკული ნივთიერების არსებობის უზუსტესი განსაზღვრისათვის;
- 2015 წლის იანვარის თვეში თბილისის ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიაში განთავსდა მაღალი მგრძნობელობის გაზური ქრომატოგრაფი მას/სპექტრომეტრი. სისტემის გამოყენებით შესაძლებელია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული (მათ შორის ახალი ფსიქოაქტიური საშუალებების), ნავთობპროდუქტებისა და მომწავლავი ნივთიერებების თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა;
- 2015 წლის მატის თვეში ხელნაწერებისა და დოკუმენტების ექსპერტიზის ლაბორატორიაში განთავსდა ვიდეო-სპექტრალური ანალიზატორი სპეციალური კომპიუტერული პროგრამით, დოკუმენტებისა და ფულადი ნიშნების მონაცემთა ბაზით. ანალიზატორი გამოიყენება დოკუმენტების დამცავი ნიშნების საანალიზოდ და სიყალბე-სინამდვილის დასადგენად;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) ორმხრივი თანამშრომლობისა და შეთანხმების შედეგად, 2015 წლის მარტის თვეში საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარ სამმართველოს უსასყიდლოდ გადმოეცა საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ონლაინ მონაცემთა საექსპერტო ბაზა Keesing Document Checker-ზე დაშვების ერთწლიანი შეუზღუდავი უფლება. მონაცემთა ბაზაში განთავსებულია მსოფლიოს ყველა ქვეყნის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ნიმუშები და მათი დამცავი ნიშნები;
- 2015 წლის 01 მაისს ქ. მცხეთაში გაიხსნა თანამედროვე ინფრასტრუქტურით და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია სისტემით, რომელიც დაკავშირებულია ერთიან ბაზასთან, რისი

საშუალებითაც პიროვნების თითის ანაბეჭდებისა და ფოტოსურათის მონაცემთა ბაზასთან შედარება და პირის ვინაობის დადგენა ონლაინ რეჟიმში ხორციელდება;

- 2015 წლის აგვისტოს თვეში აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის INL პროგრამის მიერ მთავარ სამმართველოს გადმოეცა 10 კომპლექტი სპეციალური კრიმინალისტიკური სანათები;
- 2015 წლის 07 ივლისს განახლდა თითის ანაბეჭდების საექსპერტო პროგრამა DACTO 2000. პროგრამის განახლებულ ვერსიას გააჩნია თითის და ხელის ანაბეჭდების გაუმჯობესებული პარამეტრები, სხვადასხვა ფორმატის დაშიფვრისა და სისტემური შეთავსებადობადობის გაზრდილი მაჩვენებლები;
- 2015 წლის 10 სექტემბერს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის INL პროგრამის მიერ, ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად მთავარ სამმართველოს საჩუქრად მიკრონაწილაკების საექსპერტო კვლევისათვის გადმოეცა Leica M60 სტერეოსკოპული მიკროსკოპი, ასევე საკვლევი ნიმუშების თერმული დამუშავებისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ღუმელი;
- მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) დაფინანსებით შეძენილია დოკუმენტების სიყალბე-სინამდვილის ახალი სისტემა Foster & Freeman VSC 40 და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ელექტრონული მონაცემთა ბაზა. 2015 წლის 30 ნოემბერს სისტემა დამონტაჟდა აჭარის ა/რ საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ლაბორატორიაში;
- 2015 წლის 13 ნოემბერს დასრულდა კახეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის (გურჯაანი) შენობის კეთლმოწყობის სამუშაოები, საერთო ფართით 110 კვ/მ. კეთილმოწყობის შედეგად მოხერხდა არსებული ფართის ეფექტური გადანაწილება და ოპტიმიზაცია, განახლდა ლაბორატორიების ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდა ახალი საექსპერტო სისტემები, გაიზარდა რეგიონალური სამსახურის შესაძლებლობები და შესრულებული სამუშაოს ხარისხი;
- 2015 წლის 15 ნოემბერს დასრულდა ახალი ნარკოლოგიური კაბინეტის კეთილმოწყობის სამუშაოები ქ. სენაკში;
- 2015 წლის 29 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისათვის ახალი, გაუმჯობესებული დაცვის და მახასიათებლების პაკეტების დამზადების თაობაზე. პაკეტები დამზადებულია სპეციალური გამძლე მასალისგან, გააჩნია მსუნთქავი ზედაპირი, უნიკალური შტრიხკოდი და დაცულობის მაღალი ხარისხი რათა დალუქვის შემდგომ შეუძლებელი იყოს პაკეტის შიგთავსზე ხილული დაზიანების გარეშე წვდომა;

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

- ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურის დახვეწა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაიმიჯნა ორგანიზებული დანაშაულის კონკრეტული სახეობების წინააღმდეგ მებრძოლი ქვედანაყოფები;
- 2015 წლის 24 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №506 დადგენილებით დამტკიცდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2015–2018 წლების ეროვნული სტრატეგია და სტრატეგიის 2015–2016 წლების სამოქმედო გეგმა.

სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

- 2015 წლის თებერვალში გაეროს განვითარების ფონდმა გამოყო 2 500 000 ევრო პროექტის განსახორციელებლად, რომელიც დედოფლისწყაროს 5 სექტორის (საბათლო, ფიროსმანი, ერისიმედი, ლეკისყურე, მილარი) მშენებლობას და მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას ითვალისწინებს;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N1 სამმართველოს (ბათუმი) დასაცავ მონაკვეთზე სამმართველოს ძალებითა და საშუალებებით:
    - N3 სასაზღვრო სექტორის (გორგაძეთი) დასაცავ მონაკვეთზე აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა ბლოკ-პოსტი „ჩხუტუნეთი“;
    - შეკეთდა N3 სასაზღვრო სექტორის (გორგაძეთი) დისლოკაციის ადგილისა და ბლოკ-პოსტ „ქოქოლეთისაკენ“ მიმავალი საავტომობილო გზები;
    - N7 სასაზღვრო სექტორის (ხიხაძირი) დასაცავ მონაკვეთზე აშენდა ბლოკ-პოსტ „ახალდაბის“ ახალი შენობა;
    - მცენარეული საფარისგან გაიწმინდა სახელმწიფო საზღვრის ხაზი და სასაზღვრო ნიშნები N2 სასაზღვრო სექტორის (კირნათი) დასაცავ მონაკვეთზე N417-N430 სასაზღვრო ნიშნების რაიონებში;
    - N5 სასაზღვრო სექტორის (ტბეთი) დასაცავ მონაკვეთზე შეკეთდა საავტომობილო გზა მთა ღომადან ბლოკ- პოსტი „ღომასაკენ“;
    - N6 სასზღვრო სექტორის (ჩირუხი) დასაცავ მონაკვეთზე კონკრეტული სასაზღვრო ნიშნის რაიონში დამონტაჟდა ფოტოხაფანგი;

- N6 სასაზღვრო სექტორის (ჩირუხი) დასაცავ მონაკვეთზე შეკეთდა ბლოკ-პოსტების „ლელვანისა“ და „სანალიასაკენ“ მიმავალი საავტომობილო გზა;
- N4 სასაზღვრო სექტორის (ქედა) დასაცავ მონაკვეთზე მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა ბლოკ-პოსტებს „დიდვაკესა“ და „ლოდნარს“;
- N5 სასაზღვრო სექტორის (ტბეთი) დასაცავ მონაკვეთზე მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა ბლოკ-პოსტ„ღომას“;

- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N2 სამმართველოს (ახალციხე) დასაცავ მონაკვეთზე სამმართველოს ძალებითა და საშუალებებით აღდგენილია 2 სათვალთვალო კოშკურა;
- დარიალის ხეობაში, სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N7 სამმართველოს (ყაზბეგი) დასაცავ მონაკვეთზე მოეწყო ევაკუაციის ადგილი N7 სამმართველოსა (ყაზბეგი) და N2 სასაზღვრო სექტორის (დარიალი) პირადი შემადგენლობისათვის (დაიდგა 1 ცალი საცხოვრებელი კონტეინერი, რომელიც გადატანილ იქნა სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველოდან (წითელი ხიდი));
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N8 სამმართველოს (ჯავა-ონი) დასაცავ მონაკვეთზე მოეწყო N1 სასაზღვრო სექტორის (მამისონი) განთავსების ადგილი. (დაიდგა 3 საცხოვრებელი კონტეინერი, რომელიც გადატანილ იქნა სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველოდან (წითელი ხიდი));
- სანაპირო დაცვისა და კონტროლის გაძლიერების მიზნით დასრულდა სპეციალისტების მიერ შერჩეული ტერიტორიის რეგისტრაცია შემდგომში სარადარო სისტემების განსათავსებლად;
- დასრულდა სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ შერჩეული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის პროცედურები N1 სამმართველოს (ბათუმი) სასაზღვრო სექტორის „ქედას“ მშენებლობისათვის. მშენებლობას აფინანსებს აშშ-ის მთავრობა.

საგანგებო სიტუაციების მართვა

- საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი და ერთიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წელს შსს-ს ინიციატივით პარლამენტს წარედგინა და მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ". საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ შესაბამისად, 2015 წლის 10 იანვრიდან შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი

გარდაიქმნა შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდ. სააგენტო წარმოადგენს ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს. სააგენტოს შემადგენლობაში გაერთიანდა ქვეყანაში არსებული რეგიონალური და მუნიციპალური სამაშველო და სახანძრო-სამაშველო დანაყოფები. შემუშავდა სააგენტოს დებულება, რომლის მიხედვითაც სააგენტო, თავის მისიას ახორციელებს მართვის ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე. შესაბამისად, მის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შექმნის უზრუნველყოფა და კოორდინირება, სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შექმნა და მათი საქმიანობის ორგანიზება; საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, ქვეყანაში სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის ორგანიზება; საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების კოორდინირება;

- მომზადდა და დამტკიცდა: „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის თაობაზე” საქართველოს მთავრობის დადგენილება; „საქართველოში ხანძრის და მისი შედეგების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება; „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტი) სამსახურებრივ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანება;
- მომზადდა და სტატისტიკის დეპარტამენტში გაიგზავნა 2015 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოში მომხდარი ხანძრების „ანგარიში ხანძრებისა და მათი შედეგების შესახებ“ შესაბამისი ფორმების მიხედვით;
- ჩატარდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული, აგრეთვე სხვადასხვა უწყებების და ფიზიკური პირების მიერ მოთხოვნილი ობიექტების სახანძრო-ტექნიკური შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შემოწმების მიზნით;
- ჩატარდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტების სახანძრო-ტექნიკური შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შემოწმების მიზნით;
- ჩატარდა სააგენტოს ტერიტორიულ დანაყოფებში თათბირ-სემინარები

სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესწავლის და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვის მიზნით;

- დაიწყო PPRD East პროგრამის მე-2 ოთხწლიანი ფაზა (2014-2018წწ) - "მზადყოფნა, პრევენცია, ბუნებრივი და ტენოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე" (PPRD East II), რომელიც ფინანსდება ევროკავშირის მიერ. პროგრამის სამოქმედო არეალი მოიცავს შემდეგ ქვეყნებს: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსია, უკრაინა, მოლდავეთი;
- სააგენტოს კოორდინაციითა და უშუალო მონაწილეობით ევროკავშირის დაფინანსებული "DIPECHO III"-ის „ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების" პროგრამის ფარგლებში მომზადდა შემდეგი ბეჭდური და ვიდეო სადემონსტრაციო მასალები: ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება - გზამკვლევი საბავშვო ბაღის აღმზრდელებისთვის; ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება - საილუსტრაციო ბარათები საბავშვო ბაღის აღმზრდელებისთვის და აღსაზრდელებისთვის; სატელევიზიო, საგანმანათლებლო ანიმაციური ფილმები მიწისძვრის, ხანძრისა და წყალდიდობის თემაზე;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის მიზნით, 2013 წელს საფუძველი ჩაეყარა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ჩამოყალიბებას. 2015 წლის დასაწყისში დასრულდა სამმართველოს შენობის რეაბილიტაცია, აღიჭურვა სათანადო მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით და დაკომპლექტდა კვალიფიციური კადრებით. 2015 წლის 17 მარტს მოხდა სამმართველოს შენობის ოფიციალური გახსნა და დანაყოფმა დაიწყო სრულყოფილი ფუნქციონირება;
- სააგენტო ჩართულია გაეროს ჰუმანიტრული დახმარების კოორდინაციის ოფისის (OCHA) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ერთობლივი ჯგუფის მუშობაში, რომლის მიზანიცაა საქართველოში ეკოლოგიური რისკების სწრაფი შეფასების ინსტრუმენტის (Flash Environmental Assessment Tool, FEAT) დანერგვა ქიმიურ საწარმოებზე. პროექტის ფარგლებში ჯგუფთან ერთად იგეგმება შემდგომი ღონისძიებების ჩატარება;
- სააგენტო ჩართულია კატასტროფების რისკების გაეროს ოფისის (UNISDR) ეგიდით, ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის გეგმის მომზადების ორგანიზების მიზნით შექმნილ ერთობლივი ჯგუფის მუშაობაში;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ თბილისში პროექტის ,,საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო უსაფრთხო სკოლისთვის'' განხორციელება დაიწყო. პროექტის ფარგლებში, ორი თვის განმავლობაში თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარ სამმართველოში 800-მდე მანდატურსა და პედაგოგს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ თეორიულ სწავლების კურსი ჩაუტარეს;
- 2015 წლის ნოემბერში თელავში საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა გაიხსნა;
- განხორციელდა სოციალური კლიპის გადაღება, რომელიც მიზნად ისახავს, როგორც სააგენტოს შესახებ დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას, ასევე, საზოგადოებაში სააგენტოს შესახებ ცნობიერების გაზრდასა და მეხანძრე-მაშველების მიმართ მეტ პატივისცემას;
- შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორმა ქვეყნის მასშტაბით მეხანძრე-მაშველების სრულ შემადგენლობას ახალი ყოველდღიური ფორმები გადასცა. აღნიშნული ღონისძიება სააგენტოს მოდერნიზაციის ფარგლებში განხორციელდა, რაც მეხანძრე-მაშველებისთვის უკეთესი პირობების შექმნას და სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურება;

ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში:

- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით მომზადდა ორი დასკვნა;
- განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური საგანგებო სიტუაციების შესახებ ინფორმაციის მოძიება, აღრიცხვა, ანალიზი და სტრუქტურიზაცია;
- განხორციელდა საქართველოს ტერტორიაზე არსებული ქიმიურად საშიში ობიექტებისა და მათ საცავებში განთავსებული ქიმიური ნივთიერებების ნუსხის შედგენა;
- თებერვლის თვეში შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს, ბრიტანეთის ენერგეტიკისა და კლიმატური ცვლილებების დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ჩატარდა საერთაშორისო ფორუმი თემაზე: „გამოწვევები ბირთვული უსაფრთხოებისა და გაუვრცელებლობის სფეროში“;

- აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების სააგენტოს (DTRA)-სთან გაფორმებული პროგრამის ფარგლებში საქათველოში ჩატარდა სემინარი თემაზე: „საქართველოს ბიოლოგიური ლაბორატორიის დაცულობისა და უსაფრთხოების მონიტორინგის ეროვნული პროგრამის დანერგვის სტრატეგიული გეგმა“;
- მარტის თვეში ევროკავშირის CBRN-ის მოწინავე გამოცდილების ცენტრის ინიციატივის ფარგლებში, ევროკომისიის გაერთიანებული კვლევის ცენტრის (JRC), გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტის (UNICRI) მიერ, იტალიაში, ქ. კომო, ჩატარდა შემაჯამებელი სამაგიდო სწავლება-ტრენინგი, თემეზე: „ბიო-უსაფრთხოების, ბიო-დაცულობის, ბიო-რისკების მართვის საუკეთესო გამოცდილების გადაცემა და ცოდნის განვითარება“;
- მარტი-აპრილის თვეებში გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტის (UNICRI) დაფინანსებითა და შვედეთის Umea უნივერსიტეტის ორგანიზებით ბოსნია ჰერცოგოვინაში ჩატარდა სამაგიდო სწავლება-ტრენინგი თემაზე: ,,ქბრბ ცნობიერების ამაღლება ექსტრემალური რეაგირების ყველა სფეროში“;
- აპრილის თვეში ვიშკოვში, NATO-ს CBRN სამხედრო აკადემიის ბაზაზე ჩატარდა საერთაშორისო ტრენინგ კურსი თემაზე: ,,ქბრბ შემთხვევების პირველადი მორეაგირეების მინიმუმი სტანდარტებისა და არა-სავალდებულო სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელება“;
- აპრილის თვეში NATO-ს ორგანიზებითა და დაფინანსებით ბულგარეთში ქ. მონტანა NATO-ს სასწავლო ცენტრში ჩატარდა სამაგიდო სასწავლო-კურსი თემაზე: ,,ქბრბ ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლება ქბრბ რეგიონალური რეაგირების სფეროში“;

შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი

- 2015 წლის ივლის-აგვისტოს თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული რეფორმების შედეგად, შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის შემადგენლობიდან გავიდა სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტი, ხოლო ცენტრში დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების სამმართველო.

შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი

- 2015 წლის განმავლობაში სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის მიერ გატარებულ იქნა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დასაცავ პერიმეტრზე (ქვემო-ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველო) პირადი შემადგენლობის პირობების გაუმჯობესების მიზნით გარემონტდა სველი წერტილები, მოეწყო ახალი ყაზარმა, სასადილო ოთახი და საწყობები;
- კაპიტალურად გარემონტდა მილსადენის პერიმეტრზე მდებარე საგუშაგოები;
- მილსადენის პერიმეტრზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და წესრიგის დაცვითი ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით პირადი შემადგენლობისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის სპეციალური აღჭურვილობა და უნიფორმები;
- დეპარტამენტის თანამშრომლებს მუდმივად უტარდებათ ბრძოლისუნარიანობის ამაღლების სასწავლო კურსები და ფიზიკური დონის განმსაზღვრელი ნორმატივები. სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა პერიოდულად გადის მებრძოლებისა და სპეციალისტების მომზადების სამთო-ტაქტიკურ სწავლებებსა და ქართველი ტრენერებისა და BP-ის ექსპერტების მიერ ჩატარებულ პრაქტიკულ წვრთნებს სტრატეგიული მილსადენების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში.

შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი

- 2015 წლის 1 მასიდან შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თბილისისა და რეგიონალური სამმართველოების ბაზებზე ჩატარდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები;
- საქართველო–ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს უსაფრთხოება და დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონის სპორტულ ღონისძიებებზე. ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებები ემსახურება სპორტულ თამაშებზე მაყურებელთა მხრიდან ძალადობის პრევენციასა და აღმოფხვრას;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ამ სფეროში ევროპული სტანდარტების დანერგვისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით,

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორ სახელმწიფოებსა და ევროპის წამყვან ქვეყნებთან. ამ მიმართულების დეპარტამენტის წარმომადგენლები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ქყვეყნებში ორგანიზებულ ტრენინგებსა და სასწავლო კურსებში, რომელიც ემსახურება თანამშრომელთა ცნობიერებისა და პროფესიული დონის ამაღლებას

შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების სამმართველო

- დასახული პრიორიტეტებისა და მიზნების განხორციელებისათვის საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების სამმართველომ უზრუნველყო შემდეგი აქტივობების დაგეგმვა-ჩატარება:
    - განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმების მებრძოლთა დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის სწრაფი რეაგირების კურსის ორგანიზება;
    - სნაიპერთა მომზადების კურსის ჩატარება;
    - სამთო-ტაქტიკური მომზადების სპეციალისტთა და სპეციალური დანიშნულების დანაყოფების მომსახურეთა მოსამზადებელი სასწავლო კურსის ორგანიზება;
    - ავტომატური ყუმბარსატყორცნი და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის საბრძოლო გათვლების მომზადების კურსის ჩატარება;
    - საბურავიანი ჯავშანტრანსპორტიორის მძღოლების მომზადების სასწავლო კურსი;

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების პოლიტიკა

- საქართველოს მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნულ სფეროში ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნა უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეობს შინაგან საქმეთა სამინისტრო. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია, რომელიც 2014 წლის თებერვალში დაამტკიცა მთავრობამ. 2015 წლის მარტში დამტკიცდა სტრატეგიის 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმა;
- 2015 წლის მაისში შინაგან საქმეთა სამინისტროში ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი უწყებების, დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე დონორებს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების 2015-2019 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების მიზნით საბჭოს წევრი უწყებების საჭიროებები წარედგინათ;

- 2015 წლის აპრილში გაიხსნა შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის ტექნოლოგიური ინოვაციების და სწავლების ცენტრი, რომლის მიზანია საქართველო-აშშ-ევროკავშირის სამმხრივი თანამშრომლობა ბირთვული და რადიაციული გაუვრცელებლობის სფეროში, საქართველოს აქტიური პარტნიორობა საერთაშორისო პროცესებში, საქართველოს შესაძლებლობების განვითარება რადიაციული გაუვრცელებლობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს შსს-ს კონტრიბუცია ადამიანური და მატერიალური რესურსებით;
- ქბრბ უსაფრთხოების სფეროში საქართველო აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის აშშ-სთან, ასევე ევროკავშირთან და გაერო-სთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა „ევროკავშირის ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილებების გაზიარების ცენტრების“ ინიციატივაში, რომელმაც ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.

დაცვის პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესება

- დაცვის პოლიციის ავტომანქანები აღიჭურვა ციმციმებით და GPS-ებით;
- ქვემო-ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, და თბილისის ოპერატიული რეაგირების ჯგუფების დისლოკაციის ადგილებზე და დაცვის პოლიციის სამმართველოებში მოეწყო ციფრული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
- საპატრიარქოს უსაფრთხოების სამმართველოში დამონტაჟდა 4 ერთეული ციფრული სტაციონალური რადიოსადგური და დაინსტალირდა 25 ერთეული პორტატული რ/სადგური;
- რეგიონების ავტომანქანებში ჩამონტაჟდა და დაინსტალირდა ციფრული სტაციონალური რადიოსადგურები;
- თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დასრულდა ვიდე-სამეთვალყურეო სისტემის ციფრულ სისტემაზე სრული გადაიარაღება.
- ქ. თბილისის მასშტაბით გაიმართა ციფრული კავშირგაბმულობის რადიო ქსელი hytera.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა

- 2015 წელს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა არასრულწლოვნებში ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება;
- 2015 წელს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება;
- 2015 წლის 26-30 იანვარს შსს აკადემიაში გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგის მეორე ეტაპი შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის და საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებისთვის, რომელშიც 22 პირი მონაწილეობდა;
- აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონების აღსრულების თბილისის ბიურო წლების განმავლობაში ხელს უწყობს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების პროფესიონალიზმისა და ოპერატიული შესაძლებლობების განვითარებას. 2014 წელს, სამმა პოლიციელმა და სამმა ძაღლმა, აშშ ვისკონსინისა და ვაშინგტონის შტატებში გაიარეს ნარკოტიკების აღმოჩენასთან დაკავშირებული სპეციალური ტრენინგის კურსი. ამ კუთხით, ბიუროსდახმარება 2015 წელსაც გრძელდება - 17 იანვრიდან 3 მარტამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინებით იმყოფებოდა საპატრულო პოლიციის 5 თანამშრომელი, რომლებმაც შესაბამისი გადამზადება გაიარეს. აღნიშნული შემადგენლობიდან სამმა პატრულ–ინსპექტორმა გაიარა კინოლოგის (ე.წ. „ჰენდლერი“) გადამზადების კურსი, ხოლო 2 მოქმედი კინოლოგი გადამზადდა როგორც ინსტრუქტორი. ამათგან, ერთმა პატრულ-ინსპექტორმა გაიარა კინოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელისათვის განკუთვნილი სპეციალური კურსი. როგორც იგეგმებოდა, აშშ-დან ჩამოიყვანეს ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენაზე გაწვრთნილი 5 ძაღლი. კინოლოგიური ჯგუფი შედგება 8 კინოლოგისა და 8 ძაღლისგან;
- 2015 წლის 5-7 მარტს, ქ. თბილისში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოსა და შვედეთის, დანიისა და ფინეთის კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებს შორის. მხარეებმა განიხილეს ორგანიზებულ დანაშაულთან და ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული საკითხები, ერთმანეთს გაუზიარეს ზემოხსენებულ სფეროებში არსებული გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა;

- 2015 წლის 23-25 მარტს, ქ. თბილისში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოსა და რუმინეთის კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებს შორის. მხარეებმა განიხილეს ორგანიზებულ დანაშაულთან და ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული საკითხები, ერთმანეთს გაუზიარეს ზემოხსენებულ სფეროებში არსებული გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა;
- 2015 წლის მარტში, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, გაერო-ს ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისიის (CND) 58-ე სესიაზე აღინიშნა საქართველოს მიერ დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის განხორციელების პროცესში მიღწეული შთამბეჭდავი შედეგები;
- პრევენციული ღონისძიებების კუთხით, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის სამდივნოს მიერ სისტემატურად ხორციელდება შსს ოფიციალურ საიტზე შექმნილი ნარკოპოლიტიკის ვებ-გვერდის განახლება, შესაბამისი ინფორმაციის ატვირთვა, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. ამასთან, ნარკოპოლიტიკის ვებ-გვერდს დაემატა ახალი გრაფა - ინფორმაცია ნარკოტიკების შესახებ;
- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა (WCO) და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) ერთობლივი ინიციატივით საქართველოში მიმდინარე გლობალური კონტეინერების კონტროლის პროგრამის (CCP) ფარგლებში, 2015 წლის 6 აპრილს, თბილისის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში (გეზი) დაიწყო ფუნქციონირება სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიან შსს–ს საპატრულო პოლიციის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები.;
- 2015 წლის ნოემბრის თვეში მომზადდა განახლებული ინფორმაცია ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე და იგი მიეწოდა ამერიკულ მხარეს მომავალ წელს ნარკოტიკების შესახებ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წლიურ ანგარიშში ასახვის მიზნით.

მიგრაციული პროცესების მართვა

- უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის განხორციელების მიზნით, დამტკიცდა შს მინისტრის 2015 წლის №162 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, ტერიტორიულ ორგანოებს, საქართველოს

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს დაევალათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ინფორმირება საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელისა და იმ პირების შესახებ, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება;

- შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის №47 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და მიგრაციის პროფილის შემუშავებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მუშაობაში ჩართულნი არიან სამინისტროს შემდეგი ქვედანაყოფები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების წარმომადგენლები: მიგრაციის დეპარტამენტი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია. საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფში შესაძლებელია მოწვეულ იქნან სამინისტროს სხვა დანაყოფების წარმომადგენლები;
- შემუშავდა მიგრაციის დეპარტამენტის რისკების შეფასების დოკუმენტი;
- მიგრაციის დეპარტამენტმა შსს–ს აკადემიასთან ერთად შეიმუშავა უსაფრთხოების საკითხებში მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამა“;
- 2015 წლის 21 იანვარს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებაში უცხოელის განთავსებისა და განთავისუფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე;
- 2015 წლის 21 იანვარს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შორის. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და არ გაძევების პრინციპის დაცვას;

- 2015 წლის 23 აპრილს ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ბელორუსიის რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ და შესაბამის საიმპლემენტაციო ოქმს;
- 2015 წლის 21 იანვარს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა საქართველოდან ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ;
- შსს მიგრაციის დეპარტამენტში არსებულ კვების ბლოკს, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გამოეყო მიგრანტთათვის იზოლირებული სასადილო ოთახი;
- დროებითი განთავსების ცენტრში მამაკაცთა ფლიგელისთვის მოეწყო იზოლირებული მოსაწევი ადგილი და გარე/საევაკუაციო კიბე;
- უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის მიზნით გასაუბრების სივრცეში დამონტაჟდა განგაშის ღილაკები. ასევე ოთახი აღიჭურვა კომპიუტერითა და შესაბამისი ქსელით;
- მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფის მიზნით, მოხდა ოჯახებისთვის განკუთვნილი ფლიგელის იზოლირება;

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

- 2015 წლის დასაწყისში ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში განხორციელდა სტრუქტურული რეფორმა, რომლის შედეგადაც ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის სამმართველოში გაიმიჯნა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება, ხოლო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებები ჩამოყალიბდა ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ მიმართულებებად;
- 2015 წლის 23 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით (№54) დამტკიცდა გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკებისათვის ადამიანით ვაჭობის (ტრეფიკინგი) სავარაუდო მსხვერპლთა გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOPs). აღნიშნული მიმართულებით ასევე, იგეგმება სამართალდამცავთა პროფესიული უნარ–ჩვევების შემდგომი განვითარება;
- 2015 წლის 16–24 აპრილს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსა (INL) და ჯორჯიის შტატის გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთობლივი ორგანიზებით, განხორციელდა ექსპერტების ვიზიტი, რომლის მიზანი იყო საქართველოში ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კუთხით არსებული

სიტუაციის შეფასება. 16–17 აპრილს ექსპერტები შეხვდნენ ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენლებს, ხოლო 20–24 აპრილს, ბათუმის სპეციალისტთა ჯგუფი (Task Force)–თან ერთად განახორციელეს ერთობლივი მუშაობა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

- სამინისტროში შეიქმნა შესაბამისი დანაყოფების ხელმძღვანელი პირებით დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ოჯახში ძალადობის ფაქტებზე პოლიციის რეაგირების ადეკვატურობას და გამოიკვლევს ოჯახის წევრთა მიერ ქალის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევებს, მსგავსი დანაშაულების პრევენციის მექანიზმის დახვეწის მიზნით. აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობა და კომპეტენცია დამტკიცდა 20/09/2014 წლის შს მინისტრის N726 ბრძანებით „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების კომისიის შექმნის შესახებ“; აღნიშნული ბრძანების საფუძველზეც კომისიას დაევალა სამუშაო ჯგუფებისათვის განსაზღვრული ამოცანებისა და დავალებების შესრულების კონტროლი. კომისიის სამდივნოდ განისაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. აღნიშნული ვალდებულების ეფექტურად შესრულების მიზნით, კომისიის სამდივნო ყოველი თვის 10 რიცხვში იღებს ინფორმაციას რეგიონში/რაიონში ოჯახში ძალადობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად სამდივნო საჭიროებისამებრ რეგულარულად აწვდის სამართალდამცავებს დამატებით ინფორმაციას არსებული მექანიზმებთან/სიახლეებთან დაკავშირებით და სამინისტროს უფლებამოსილ პირებთან ერთად გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს;
- ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით ახალგაზრდა თაობის უკეთ ინფორმირების მიზნით თბილისსა და საქართველოს რეგიონებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გაიმართა საშუალო სკოლებში. იმისათვის, რომ შეხვედრები ეფექტიანი ყოფილიყო შეიქმნა შს სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომდგენლებით და ფსიქოლოგით დაკომპლექტებული ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიერ, 2015 წლის იანვარი–მაისის პერიოდში განხორციელდა ინტერაქტიული შეხვედრები თბილისის სკოლების მეათე კლასელებთან;
- ქვემო ქართლის სამართალდამცავების მიერ განხორციელდა ინტერაქტიული შეხვედრები ქვემო ქართლის 9 საჯარო სკოლის უფროს კლასელებთან

- მოსახლეობაში ბეჭდურო მასალის გავრცელების მიზნით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა ოჯახში ძალადობის თემაზე საინფორმაციო ხასიათის 2000 ცალი საინფორმაციო ბროშურა. აღნიშნული ბროშურები, იანვრის თვეში, გადეცა ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს (1300 ც) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს (700 ცალი).

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

- 2015 წლის დასაწყისში ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში განხორციელდა სტრუქტურული რეფორმა, რომლის შედეგადაც დაიხვეწა და გამოწვევების შესაბამისი გახდა კიბერდანაშაულის სამმართველო, სადაც შეიქმნა განყოფილებები - ტექნიკური და ოპერატიულ-საგამოძიებო მიმართულებებით;

ხარისხიანი მომსახურების გაწევა

სსიპ „112“

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის საქმიანობის ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს გადაუდებელ შემთხვევებში ყრუ და სმენადაქვეითებული პირების მიერ „112“-თან დაკავშირება მოკლეტექსტური შეტყობინებისა და ვიდეო ზარის საშუალებით. ამ მიზნით საქართველოს შსს სსიპ 112-მა 2015 წლის 27 მარტიდან აამოქმედა SMS და ვიდეო ზარის სერვისი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის. სერვისი ხელმისაწვდომია სრულიად საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში. სერვისით სარგებლობისთვის საჭიროა ერთჯერადი, წინასწარი რეგისტრაცია. სარეგისტრაციო ფორმის შევსება შესაძლებელია 112-ის ვებ-გვერდზე www.112.ge. 112-ში შემოსული შეტყობინება, გადაუდებელი დახმარების შესახებ, გადაეცემა სასწრაფო-სამედიცინო დახმარებას, პოლიციას და სახანძრო-სამაშველო სამსახურს. ვიდეო ზარის საშუალებით შემოსულ შეტყობინებებს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები იღებენ;

- 112-ის ახალი მომსახურება, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის, შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს, აღნიშნული პირდაპირ პასუხობს ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის გამოწვევებს, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს და შსს სსიპ 112-ის განვითარების სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს. პროექტი განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით. პროექტის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სსიპ „112“ აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ყრუთა კავშირთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედ სხვადასხვა ორგანიზაციასთან. პროექტის იმპლემენტაციის თითოეული ფაზა ითვალისწინებდა შშმ პირების და შესაბამის სფეროში მოქმედი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ ჩართულობას;
- მაისის თვეში განხორციელდა პროექტის დასკვნითი ნაწილი. დასრულდა ყველა დაგეგმილი PR აქტივობა, შეჯამდა პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობა და შემუშავდა სამომავლო გეგმა პროექტის განვითარების და მასშტაბურობის გაზრდის კუთხით. საბოლოო ანგარიში წარედგინა გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელებს და პროექტში ჩართულ პირებს;
- სსიპ „112“-ის საინფორმაციო და ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი ვიდეო ზარის პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ, რომელსაც გაუძღვა რუმინეთიდან სპეციალურად მოწვეული საერთაშორისო ტრენერი;
- ახალ სერვისთან დაკავშირებით, დამზადდა სარეკლამო რგოლი, რომელიც ტელევიზიებისა და სოციალური მედიის საშუალებით გავრცელდა. ასევე, დამზადდა ვირუსული ვიდეო რგოლები. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გადაიღოს ვიდეო რგოლი, სადაც ყრუ და სმენადაქვეითებულ ადამიანებს მოუწოდებენ, დარეგისტრირდნენ და დაარეგისტრირონ მეგობრები. დაიბეჭდა პრომო მასალა, ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, სადაც დეტალური ინფორმაციაა ახალი სერვისისა და ზოგადად, 112-ის, როგორც გადაუდებელი დახმარების ნომრის, სწორად გამოყენების წესების შესახებ. აღნიშნული პრომო მასალა საქართველოს რეგიონებში გავრცელდა;
- 2015 წლის 11 თებერვალს ამოქმედდა დახმარების ცენტრთან დაკავშირების ალტერნატიული არხის სერვისი (ე.წ. GPS ტრეკერი), რომელიც განკუთვნილია საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მიმავალი პირებისთვის. გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში პირს ექნება შესაძლებლობა განაგაშის

სიგნალთან ერთად, სატელიტის მეშვეობით გამოგზავნოს თავისი ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი კოორდინატები. სერვისი უზრუნველყოფს: მუდმივ წვდომას შსს სსიპ 112-თან (მათ შორის ფიჭური კავშირგაბმულობის გარეთ არსებული ლოკაციებიდან); მოქალაქის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრას სატელიტური სისტემის მეშვეობით და განგაშის სიგნალის გაგზავნას 112-თვის; საქართველოს ტერიტორიაზე, ნებისმიერი გეოგრაფიული არეალიდან გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში შეტყობინების მყისიერად მიღების შესაძლებლობას; ვინაიდან, საქართველოში არ არსებობდა აღნიშნულ მოწყობილობებზე ხელმისაწვდომობა, სერვისის იმპლემენტაციის მიზნით, 112-მა უშუალოდ შეიძინა საწყისი რაოდენობის ტრეკერები (60 ერთეული), რომელიც დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ გადასცა დაინტერესებულ ადგილობრივ კომპანიებს/ორგანიზაციებს, როგორიცაა: ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო“; ა(ა)იპ „საქართველოს ექსტრემალური სპორტის ეროვნული ფედერაცია“; ა(ა)იპ „საქართველოს მთასვლელთა ფედერაცია“ კავშირი; შპს „ბი თი ელი“; შპს „პრომეთეა ვოიაჟი“;

- შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის - 112-ის წარმომადგენლები ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ყოველწლიურ კონფერენციას და დაჯილდოების ცერემონიას დაესწრნენ. ყოველწლიურ კონფერენციაზე 112-ის დელეგაციის მონაწილეობის მიზანი იყო, ევროპის მასშტაბით, საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში გამოცდილების გაზიარება და გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებული ინოვაციებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის გაცვლა. კონფერენციის ფარგლებში, საქართველო წარმოდგენილი იყო, როგორც ერთ-ერთი სპიკერი ქვეყანა. საქართველოს 112-მა კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია სახელწოდებით - „გამოწვევები და სტრატეგიული მიმართულებები“. 2015 წლის დაჯილდოების ცერემონიაზე საქართველომ გაიმარჯვა „განსაკუთრებული მოქალაქის“ ნომინაციაში. მნიშვნელოვანია, რომ წელს საქართველო ამ ნომინაციაში ყოველგვარი ხმის მიცემის პროცედურის გარეშე დასახელდა;
- 2015 წლის სექტემბერში, 112-ის დეპარტამენტი გახდა „საგანგებო სიტუაციების მართვის საერთაშორისო საზოგადოების“ (The International Emergency Management Society) წევრი ორგანიზაცია. საგანგებო სიტუაციების მართვის საერთაშორისო საზოგადოება (TIEMS) დაარსდა ვაშინგტონში და წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც ორიენტირებულია განათლებაზე, ტრენინგებზე, სერტიფიცირებასა და პოლიტიკის შემუშავებაზე საგანგებო სიტუაციების და კატასტროფების მართვის სფეროში. TIEMS მიზნად ისახავს, საგანგებო

სიტუაციების მართვის თანამედროვე მექანიზმების და ტექნოლოგიების განვითარებას და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის;

- 2015 წლის, სექტემბერში, შსს სსიპ 112-ში, ოპერატორების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგ ცენტრი ჩამოყალიბდა. აღნიშნული ცენტრის ტრენერებსა და 112-ის თანამშრომლებს, ორგანიზაცია „განათლებისა და მართვის გუნდმა“ ტრენერთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ჩაუტარა;
- პროგრამა უზრუნველყოფს საბაზისო სწავლების ცოდნის ამაღლებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომლის საფუძველზეც ტრენერი შეძლებს, 112-ის ოპერატორებისთვის საჭირო სწავლის პროგრამის შემუშავებას, სახელმძღვანელოს შექმნას, პრეზენტაციისა და ტრენინგის განრიგის გაწერას.

მომსახურების სააგენტო

- იარაღის მოხმარების წესების ზოგადი ცოდნის გაუმჯობესების, უსაფრთხო გამოყენებისა და მოხმარების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში სამოქალაქო ცეცხლსასროლი და გაზის (აირის) იარაღის შეძენის მსურველები 2015 წლის 1 ნოემბრიდან იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში გამოცდას აბარებენ. იარაღის შეძენის მსურველები გამოცდას თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის, გაზის (აირის) იარაღის, სპორტული ცეცხლსასროლი იარაღისა და სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში ჩააბარებენ. იარაღის დარეგისტრირების მსურველი რეგისტრაციის პროცედურის გავლას მხოლოდ გამოცდის წარმატებით გავლის შემთხვევაში შეძლებს. იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში გამოცდის ჩაბარება არ ეხებათ იმ მოქალაქეებს, რომლებმაც იარაღი 1 ნოემბრამდე დაირეგისტრირეს. იარაღის მფლობელი გამოცდას მხოლოდ ახალი იარაღის შეძენის შემთხვევაში აბარებს. ამავდროულად, გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მოქალაქეს იმავე ტიპის სხვა იარაღის შეძენისას გამოცდაზე ხელმეორედ გასვლა აღარ მოუწევს. შსს-ს აკადემიის შესაძლებლობების განვითარება
- 2015 წლის განმავლობაში შემუშავდა და განახლდა რიგი საგანმანათლებლო პროგრამებისა;
- შემუშავდა ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამა, რომელიც განკუთვნილია აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისათვის, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარებენ მხოლოდ ზოგად უნარებს. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2015 წლის 12 ივნისს;

- მოეწყო 220 ერთეული კოპიუტერით აღჭურვილი, კომპიუტერული ცენტრი;
- დასრულდა კრიმინალიტიკური ლაბორატორიის მოწყობა და აღიჭურვა საჭირო ინვენტარით;
- მოეწყო და ახალი ინვეტარით აღიჭურვა საპროფესორო და დამხმარე ოთახები;
- ცენტრის კომპიუტერულ აუდიტორიაში დაინერგა ფსიქოლოგიური ტესტირების ელექტრონული სისტემა;

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების თაობაზე“ შინაგან საქმეთა მინისტრის 05.09.2014 წლის #681 ბრძანების შესაბამისად შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი განისაზღვრა სამინისტროში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორცილების კოორდინაციაზე პასუხისმგებელ დანაყოფად. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ, შსს შესაბამისი დანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პერიოდულად მზადდება ევროკომისიისთვის წარსადგენი შუალედური ანგარიშები; ევროკომისიის ანგარიშში მოცემული და ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასების მიზნით 2015 წლის 28 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოში განხორციელდა ევროკავშირის ექსპერტთა მისიის მორიგი ვიზიტი, რომელმაც შეაფასა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის იმპლემენტაციის კუთხით არსებულ პროგრესი შემდეგი მიმართულებით: მიგრაციის მართვა და თავშესაფრის მაძიებლები; ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ მოხდა ევროკავშირის ექსპერტთა მისიისთვის მოსამზადებელი შეხვედრების ჩატარება და კოორდინაცია, მომზადდა ექსპერტებისთვის წარსადგენი პრეზენტაციები/თანდართული დოკუმენტაციით; 2015 წლის 18 დეკემბერს გამოქვეყნდა ევროკომისიის მეოთხე ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ. აღნიშნული ანგარიშის თანახმად, საქართველომ სრულად შეასრულა სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებები;
- 2015 წელს მომზადდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015

წლის ეროვნული გეგმის შესრულების 1 კვარტალური ანგარიში; მომზადდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა; 2016 წელს დაგეგმილი აქტივობების შედეგებისა და შეფასების ინდიკატორის ამსახველი დოკუმენტი (ქართულ და ინგლისურ ენებზე), აღნიშნულ პროცესში შსს–ს შესაბამის დანაყოფებთან კონსულტაციის საფუძველზე, განისაზღვრა 2016 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები;

- 2015 წლის დეკემბერში მომზადდა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს მიეწოდა საქართველოს მთავრობის ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, სადაც გაიწერა შსს–ს შესაბამისი დანაყოფების მიერ 2016 წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. ამასთან, შესაბამისი დეპარტამენტებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაცია, რის საფუძველზეც მომზადდება 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- 2015 წლის 27 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა მაღალი დონის უწყებათაშორისი შეხვედრა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“ შეთანხმების განხორციელებაზე საქართველოს მხრიდან პასუხისმგებელ ორგანოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაზღვრის თაობაზე. 2015 წლის 2 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო პროცედურები ხსენებული შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცედურები დასრულებულ იქნა 2015 წლის 24 მარტს, როდესაც გამოცემულ იქნა საქართველოს მთავრობის #610 განკარგულება ხსენებული შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით ევროკავშირის მხარესთან მოლაპარაკების გამართვის თაობაზე. 2015 წლის 29 აპრილს ქ. თბილისში ვიდეო კონფერენციის მეშვეობით შედგა მოლაპარაკება ევროკავშირის მხარესთან, რა დროსაც მხარეებმა შეათანხმეს შეთანხმების ტექსტი. შეთანხმება მომზადდება ხელმოსაწერად შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ;

- 2015 წლის 19–20 მარტს ქ. ბრიუსელში გამართულ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველი პლატფორმის - „დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა“ ფარგლებში საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) პანელის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელმა. აღნიშნულ შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა და შეფასდა განხორციელებული აქტივობების შედეგები;
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებითა და ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროგრამის (TAIEX) მხარდაჭერით, 2015 წლის 21–22 აპრილს „სამართალდაცვით სფეროში ერთობლივი საერთაშორისო ოპერაციების“ თემაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ერთობლივი საერთაშორისო ოპერაციების განსახორციელებლად არსებული სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკული მეთოდების განხილვა;
- 2014 წლის 30 დეკემბერს შს მინისტრის #1071 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა რისკების შეფასების ერთიანი სისტემის კონცეფციის შემუშავება. სამუშაო ჯგუფის წევრებად განისაზღვრა სსდ–საქართველოს სასაზღვრო პოლიციის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, მიგრაციის დეპარტამენტის, საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის, ოპერატიულ–ტექნიკური დეპარტამენტის, შსს აკადემიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლები; სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად, შემუშავდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე რისკებისა და საფრთხეების ანალიზის ერთიანი სისტემის კონცეფცია, რომელიც დამტკიცდა შს მინისტრის 2015 წლის 31 იანვრის #91 ბრძანებით;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურ ბიუროს შორის სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების მიზნებისათვის თანამშრომლობისა და დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ“ თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოეწერა და ძალაშია 2015 წლის 27 ივლისიდან;
- 2015 წლის 8 ოქტომბერს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“;

- 2015 წლის15 ოქტომბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის საგანგებო სიტუაციებისგან დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- 2015 წლის 13 ნოემბერს ქ. ბრატისლავაში ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
- 2015 წლის 13 ნოემბერს ქ. ბრატისლავაში ხელი მოეწერა საიმპლემენტაციო ოქმს „საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების“ შესახებ;
- 2015 წლის 7 მაისს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის წარმომადგენელთა მე-6 ერთობლივი კომისიის სხდომა „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1994 წლის შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებში. შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ტრეფიკინგის, ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის სხვა სახეების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, ამ სფეროში არსებული თანამშრომლობა და გამოწვევები, ასევე სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობა. შეხვედრის დასრულებისას ხელი მოეწერა სხდომის ოქმს, რომელშიც განისაზღვრა მხარეთა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები;
- 2015 წლის 16 ივნისს გაიმართა საქართველო–ევროკავშირის მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე ქვეკომიტეტის (EU-Georgia JFS Subcommittee) შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის მხარეს მიეწოდა განახლებული ინფორმაცია სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაზე და ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით (მათ შორის ე. წ. „უცხოელ ტერორისტ მებრძოლებთან“ მიმართებით) განხორციელებულ ღონისძიებებზე;
- 2015 წლის 23–26 ივნისს განხორციელდა ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მორიგი შემფასებელი ვიზიტი საქართველოში. ექსპერტებმა გამართეს შეხვედრები საქართველოს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებთან, მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში GRETA–ს მიეწოდა განახლებული ინფორმაცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ

განხორციელებულ სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაზე;

- შემუშავებულ იქნა „საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან, დიპლომატიურ მისიებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სფეროში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების კოორდინაციის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტი. აღნიშნული პროექტის ინიცირება განხორციელდა 2015 წლის 4 ივნისს, ხოლო 2015 წლის 4 ნოემბერს იგი დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N850 ბრძანებით;
- ორგანიზაცია PH International-ი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ფინანსური მხარდაჭერით 2015 წლიდან ახორციელებს პროექტს „პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ინიციატივა აჭარაში“. პროგრამის მიზანია მოზარდებს შორის დანაშაულის პრევენცია მათი სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისა და სკოლისა და სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იგეგმება საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის (community policing) ელემენტების დანერგვა აჭარის მაღალმთიანი რაიონების სოფლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მ.წ 21-22 დეკემბერს, ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ პროგრამაში ჩართული 10 სამართალდამცავისთვის ჩატარდა ტრენინგები პროექტის განხორცილების გზებსა და მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობების განხორციელებაზე, კერძოდ, სამართალდამცავებს მიეცათ ინსტრუქციები საზოგადოებრივი ჩართულობისთვის საჭირო უნარ–ჩვევებზე და იმ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც საჭიროა საზოგადოებაში და მათ შორის არასრულწოვნებში სამრთლებრივი განვითარების დონის ასამაღლებლად;
- 2014–2015 წლის სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად განახლდა პროექტ „სამართლებრივი განვითარების პროგრამის“ განხორციელება საქართველოს 34 საჯარო სკოლაში. პროექტი ითვალისწინებს წინასწარ შედგენილი საგნის: „სამართლებრივი კულტურის“ სწავლებას შერჩეული სკოლების მე-9 კლასელთათვის. აღნიშნული საგნის სწავლება მიმდინარეობს სამართალდამცველისა და სკოლის პედაგოგის ერთობლივი აქტივობით. აღნიშნული საგანი გაიარა 2000–ზე მეტმა მოსწავლემ.